სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი “თაობათა დიალოგი”

2020-2023 წლების

ანგარიში

“BE ACTIVE ALWAYS AND EVERYWHERE”

შესავალი

სამეცნიერო-ინტელექტუალურმა კლუბმა „თაობათა დიალოგი“ (RICDOG) მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა თავისი მისიის შესრულებასა და გავლენის გაფართოებაში ისეთ ტრანსფორმაციულ პერიოდში როგორიც 2020-2023 წლები იყო.
გენერალური მდივნის, ლანა თოთაძის თავდადებული ხელმძღვანელობით, ორგანიზაცია გაუმკლავდა გლობალური პანდემიის გამოწვევებს, აჩვენა მდგრადობა, ინოვაციურობა ერთგულება და ერთგულება საზოგადოების ინტერესებისადმი.
ძირითადი მიღწევები მოიცავს ახალი ოფისის წარმატებულ შეძენას crowdfundინგის კამპანიის მეშვეობით, რაც საზოგადოების ფართო მხარდაჭერის დადასტურება იყო და რამაც გადამწყვეტი ნაბიჯი გახდა ორგანიზაციული შესაძლებლობების გაზრდისკენ.
RICDOG-მა მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა თავის პროგრამულ შეთავაზებებში, განახორციელა 54 მრავალფეროვანი პროექტი და პროგრამა, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ლიდერობის განვითარებაში, მოხალისეობასა და სამოქალაქო ჩართულობაში ახალგაზრდებსა და საზოგადოების ფართო ნაწილში.
RICDOG-მა გააძლიერა თავისი ონლაინ სივრცეში მუშაობა, გაზარდა სოციალური მედიის მიმდევრები და გამოიყენა ადგილობრივი და ეროვნული მედია თავისი ინიციატივების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად. ამ მცდელობებმა არა მხოლოდ აამაღლა RICDOG-ის ხილვადობა, არამედ გააძლიერა მისი პოზიცია, როგორც წამყვანი ორგანიზაცია, რომელიც თაობებს შორის დიალოგის და განვითარების ხელშეწყობას ახდენს.

ანგარიში მოამზადა RICDOG-ის გენერალურმა მდივანმა ლანა თოთაძემ;

ანგარიში მოიცავს 2020 – 2023 წლებს.

ანგარიშის შინაარსი:

• შესავალი ნაწილი;
• ორგანიზაციის ინსტიტუციონალური განვითარება;
• ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობა;
• ორგანიზაციის პროგრამული განვითარება;
• ორგანიზაცია და მედია;
• დასკვნითი ნაწილი.

სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბის „თაობათა დიალოგი" (RICDOG) გენერალურ მდივნად არჩევა 2020 წელს ჩემთვის იყო დიდი პატივი და ამავე დროს უდიდესი პასუხიმგებლობა გახლდათ. ჩემი მოღვაწეობას ორგანიზაციაში დიდი და მრავალწლიანი ისტორია აქვს. ორგანიზაციის მოხალისე 2012-ში გავხდი, ხოლო წევრი - 2013 წელს, წლების მანძილზე სხვადასხვა პოზიციაზე ვიმუშავე _ პროგრამების კონსულტანტად, ასისტენტად, კოორდინატორად. გავხდი ERASMUS+ კოორდინატორი, ვმუშაობდი ახალგაზრდობის მიმართულების კოორდინატორად.
2016 წელს წევრებმა ამირჩიეს გამგეობის წევრად, ხოლო 2017 წლიდან - 2020 წლამდე ვიკავებდი გენერალური მდივნის მოადგილის პოზიციას. მიუხედავად ორგანიზაციაში მრავალწლიანი მუშაობისა გენერალური მდივნის პოზიციაზე ყოფნა ახალი გამოწვევა იყო და ეს ნიშნავდა ნდობის გამართლებას ყველა იმ ადამიანის რომელმაც თავიანთი მანდატით ნდობა გამომიცხადეს. ნდობას კი გამართლება სჭირდება. საქმეს ართულებდა ისიც რომ სრულიად ახალ რეალობაში ვარსებობდით და პანდემიურ გარემოს ვებრძოდით. ამ პირობებში კიდევ უფრო მეტი შემართებით, იმედითა და უკეთესის მოლოდინით დავიკავე ახალი პოზიცია და პირობა მივეცი თავს და ორგანიზაციას მხოლოდ და მხოლოდ წინ გადავდგამდით ნაბიჯებს და არც ერთით უკან!

პირველი დიდი ცვლილება რითაც დავიწყე ჩემი გენერალური მდივნობა 2021 წელს ახალ, ჩვენს საკუთარ ოფისში გადმოსვლა იყო! რომელიც ქრაუნდფანდინგის მეშვეობით, 200-ზე მეტი ადამიანის შემოწირულობით ვიყიდეთ. ეს იყო სრულიად ახალ რეალობაზე გადასვლა, როცა ორგანიზაციას საკუთარი თავის გადარჩენა კი არა საკუთარი თავის წარმოჩინების შესაძლებლობა მიეცა. როცა არ გიწევს არსებობისთვის ყოფნა, ფიქრი და დარდი გადარჩენისთვის, განსაკუთრებით პანდემიურ მდგომარეობაში, სადაც ფაქტობრივად გაჩერდა სრულიად მსოფლიო ცივილიზაცია, უამრავი სექტორი კი უბრალოდ გაქრა. ორგანიზაციის არსებობამ კიდე უფრო დიდი რწმენა, მონდომება და შიში დაგვაძლევინა ყველა წევრს. რწმენა იმისა, რომ ჩვენ ყველას შეუძლებლის გაკეთება შევძელით და ახალი ფურცლიდან ახალი ისტორიის ათვლა დავიწყეთ.

გამოწვევებით სავსე და აღმავლობის 3 წელი იყო დატვირთული პროგრამულად, გამართული ფინანსურად და შესაძლებლობებით სავსე თითოეული ორგანიზაციის წევრისთვის, ამიტომ ვფიქრობ რომ იქნება საინტერესო გასაზიარებლად.

როგორც გენერალურ მდივანს, წესდებაზე დაყრდნობით ვალდებულება მქონდა კლუბის აღმასრულებელი ორგანოს, გამგეობის კომპეტენციების სრულად შესრულება, კონტროლი და მართვა. ასევე, ორგანიზაციის ხელთ არსებული ყველა სტრატეგიული დოკუმენტის კონტროლი და აღსრულება.

2015 – 2024 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით 2020-2023 წლის პრიორიტეტები განისაზღვრა შემდეგნაირად:

·ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა;

·ორგანიზაციის სტრუქტურის განვითარება, გაძლიერება და ორგანიზაციის წევრების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა ორგანიზაციაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

·ორგანიზაციისთვის საკადრო საჭიროებების გამოვლენა და საკადრო პოლიტიკის განსაზღვრა, ორგანიზაციის წევრთათვის კვალიფიკაციის და ზოგადი უნარების განვითარებაში ხელშეწყობა;

·ორგანიზაციის წევრებთან ინდივიდუალური მუშაობის განხორციელება და ინტერესთა საპროექტო ჯგუფების ჩამოყალიბებისთვის ხელშეწყობა და სისტემური მუშაობა;

·პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრა და საგრანტო პროექტების განხორციელება;

·ფინანსური სისტემის დახვეწა, გამჭირვალობა, ორგანიზაციის წევრებს შორის ფინანსების მოძიების კულტურის დამკვიდრება და ანგარიშვალდებულობის ჩამოყალიბება;

·ორგანიზაციის საქმიანობაში საზოგადოების მეტი ჩართულობა და ორგანიზაციის იმიჯის გავრცობა და დამკვიდრება.

ორგანიზაციის ინსტიტუციონალური განვითარება

3 წლის განმავლობაში ორგანიზაციამ ეტაპობრივად განაგრძო სტრუქტურული განვითარება და გაძლიერება; ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა; ორგანიზაციისთვის საკადრო საჭიროებების გამოვლენა და საკადრო პოლიტიკაზე მუშაობა.

3 წლის მანძილზე შეიცვალა და ფორმირება განიცადა ორგანიზაციის გამგეობამ.
დღეს ორგანიზაციის გამგეობაში არიან წევრები, რომელთათვის ორგანიზაცია მნიშვნელოვანი ნაწილია. მათ აქვთ სრულიად გააზრებული პროცესები და თავიანთი მოვალეობები.

2023 წელს ორგანიზაციის გამგეობის წევრები არიან: ირაკლი თევზაძე, ქრისტინე ჩიხლაძე, დიანა აბულაძე, თათია ფოტაძე.

ორგანიზაციამ გააგრძელა 2019 წელს შექმნილი RICDOG ჩართულობის სტრუქტურით მუშაობა, რომლის მთავარი პრინციპი მობილობა და მოქნილობაა. შეიძლება ითქვას 2020-2023 წლებში სრულყოფილად ფუნქციონირებდა მასში მონაწილე ადამიანები 4 როლის მიხედით. მოხალისეები, NLP (ნეირო ლოდერობის პროგრამა), წევრები და ფრილანსერები.
მოხალისეები არიან ადამიანები, რომლებიც მოხალისეობრივ საწყისებზე თანამშრომლობენ ორგანიზაციასთან. მოხალისეობა პროგრამულია და კონკრეტულ საქმიანობას მოიცავს. ორგანიზაიაში მოხალისეობა შეუძლია ნებისმიერ ადამიანს 14 წლიდან. 2020-2023 წლებში ორგანიზაციამ 9-ჯერ განახორციელა მოხალისეობრივი პროგრამა, რომელიც შემდეგ საკითხებზე მუშაობდა: RICDOG-ის ტრადიციულ ღონისძიებაზე „სიკეთის ეპიდემია“, დედამიწის დღე, Halloween-ის ღონისძიება, საქველმოქმედო აქცია-ღონისძიება „ის მაინც არსებობს“, მოხალისეობის პოპულარიზების პროგრამა, 2 მაისი - გვირილობა (ქალაქი ქუთაისის დღე), 22 აპრილი - დედამიწის დღე, 17 თებერვალი - სიკეთის სპონტანურად გამოვლინების საერთაშორისო დღე, 1 ივნისი -ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე. 2020-2023 წლებში ორგანიზაციას ჰყავდა 190 მოხალისე. RICDOG მოხალისეთა კლუბმა შექმნა დახურული ჯგუფი, რომელიც დღესაც აქტიურად მუშაობს და ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია ქალაქში ახალგაზრდებისთვის არსებულ სერვისებზე, ამ ეტაპზე ჯგუფში 1100 წევრია. აღსანიშნავია, რომ მოხალისეობის მსურველთა რაოდენობა და ორგანიზაციისადმი ინტერესი გაზრდილია გასულ წლებთან შედარებით 100%-ით. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციის მოხალისეთა პროგრამიდან 7 ადამიანი გახდა ორგანიზაციის წევრი. პირველად ბოლო 2 წლის განმავლობაში მოხალისეთა კლუბს ხელმძღვანელობს და პროგრამას კოორდინირებას უწევს ორგანიზაციის წევრები.

ნეირო ლიდერობის პროგრამა - ნლპ არის კომპლექსური, საბაზისო ლიდერობის შესახებ, ინსტიტუციონალური პროგრამა. 2020 - 2023 წლებში NLP პროგრამამ განიცადა შინაარსობრივი და ტექნიკური ცვლილებები, კერძოდ: 1. შეიცვალა პროგრამის ხანგრძლივობა (პროგრამა გახდა 4 თვე ნახევრიანი) 2. პროგრამა დაიყო ფაზების მიხედვით, თითოეული ფაზა მოიცავს კონკრეტულ თემას; 3. დაემატა მენტორინგის პროცესი. 4. შეიცვალა პროგრამის სახელწოდება 5. პროგრამის ფარგლებში დაიწერა წიგნი, რომელიც შედგება ლიდერისათვის საჭირო ყველა უნარის შესახებ თეორიული მასალისაგან. წიგნი მოიცავს კომპლექსურ ცოდნას ლიდერობის შესახებ და გვეხმარება ლიდერული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში და ლიდერობისთვის საჭირო 32 საბაზისო კომპეტენციის განვითარებაში.
ეს გახლავთ თამაში-წიგნი, რომელიც ინდივიდს და ჯგუფს სთავაზობს საინტერესო მეთოდით კომპეტენციის გამომუშავებას. მონაწილეები ინვითარებენ ინოვაციური აზროვნებასა და ფინანსურ განათლებას. აგრეთვე თამაში-წიგნი ეხმარება დროის, ემოციებისა და ჯგუფის მართვისათვის საჭირო უნარების დაუფლებაში და ასწავლის როგორ უნდა წარმოაჩინო საკუთარი თავის ეფექტურად.
2020-2023 წლებში პროგარამაგანხორციელდა 5-ჯერ და ჯამში 53 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. გასულ წლებთან შედარებით პროგრამაზე დაინტერესება 20% გაზრდილია. აღნიშნული პროგრამიდან ბოლო სამ წელიწადში ორგანიზაციის წევრი გახდა 6 ადამიანი.

წევრობა - RICDOG-ის წევრები სტრუქტურის მიხედვით ახორციელებენ ორგანიზაციის მართვას. **RICDOG წევრის პროგრამა,** რომელიც მიზნად ისახავს ორგანიზაციის წევრთა აქტიურ ინტეგრირებას RICDOG-ის მიმდინარე პროცესში და მათი აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფას გადაწყვეტილების მიღებისა და სამუშაოს შესრულების პროცესში. 2021 წლის ბოლოს ორგანიზაციას ყავდა 16 ორგანიზაციის წევრი. (2022 წლის ბოლოს ორგანიზაციას ჰყავდა 21 წევრი, მათ შორის 3 დისტანციური წევრი. 2023 წლის ბოლოს კი ორგანიზაციას ჰყავს 22 ორგანიზაციის წევრი - მათ შორის 3 დისტანციური წევრი) აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნულ წლებში მომუშავე წევრების უმრავლესობას გააზრებული ჰქონდათ თავიანთი პასუხისმგებლობები და 20%-ზე მეტი წევრი 2 წელია იკავებენ ორგანიზაციის წევრის სტატუსს. წევრების უმრავლესობა (90%) კოორდინირებენ ორგანიზაციაში სხვადასხვა პროგრამებს და დამოუკიდებლად მართავენ მათთვის ჩაბარებულ პასუხისმგებლობებს.

ორგანიზაციის წევრის კარიერული წინსვლისა და საკადრო საჭიროებების გამოვლენისათვის, წევრების მიმართულებების მიხედვით სამუშაოში ჩართულობის, ასევე მათი ინტერესების მიხედვით გაძლიერების ხელშესაწყობად 2020 წლიდან RICDOG-ი აქტიურად მუშაობს ორგანიზაციის წევრებთან ინდივიდუალურად. ორგანიზაციის გამგეობის წევრები ახორციელებენ სუპერვაიზინგს ორგანიზაციის წევრებთან ინდივიდუალურად და არიან ჩართულები მათ ყოველდღიურ მუშაობის პროცესში, ორგანიზაციის წევრების წინსვლისა და განვითარების, ასევე მათი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით.
ორგანიზაციის წევრის კარიერული წინსვლისა და საკადრო საჭიროებების გამოვლენისათვის, 2022 წელს ორგანიზაციაში შეიქმნა სპეციალური პროგრამა, რომელმაც უზრუნველყო წევრების გადამზადება/მომზადება სხვადასხვა პროგრამების კოორდინირების მიზნით.

ფრილანსერობა - სტრუქტურის მიხედვით ფრილანსერი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც სურს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ითანამშრომლოს ორგანიზაციასთან. მასთან ფორმდება მემორანდუმი და იგი წარმოადგენს ორგანიზაციის პარტნიორს.
ფრილანსერების კუთხით 3 წლის განმავლობაში გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები. ორგანიზაციას არსებობის ისტორიაში პირველად ჰყავს ოფიციალური ფრილანსერი მემორანდუმით განსაზღვული პასუხისმგებლობებით - შალვა ჯინჭარაძე, რომელიც მასზეც დაკისრებულ მოვალეობას სრულად ასრულებს. წლის ბოლომდე ორგანიზაციას ეყოლება კიდევ ერთი ფრილანსერი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2023 წლის ბოლოს **ორგანიზაციამ დაიწყო წესდების ჩასწორება, რომელიც შეეხო შემდეგ საკითხებს: წევრების არჩევის / გარიცხვის პრინციპს; პრეზიდიუმის გაფართოებას/ მათ უფლება მოვალეობებს; წევრთა საერთო კრებების ჩატარება/მნიშვნელობას.** ახალი წესდებიდან გამომდინარე ფართოვდება ორგანიზაციის პრეზიდიუმი. პრეზიდიუმის წევრი შესაძლებელია გახდეს საპატიო გენერალური მდივანი გამგეობის წევრის სტატუსის გასვლის შემდეგ.

ორგანიზაციამ 2022 წლიდან დაიწყო 2015-2024 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შეფასება/რევიზია, ამ ეტაპზე მომზადდა სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზი, რომელშიც ჩართულნი გახლდნენ როგორც ორგანიზაციის გამგეობის, ისე ორგანიზაციის წევრები. 2024 წლის ბოლოს კი იგეგმება ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება.

3 წლის განმავლობაში ორგანიზაციის სტრატეგიული გეგმის ამოცანები ამ მხრივ შესრულებულად ჩაითვალა.

ფინანსური მდგრადობა

ორგანიზაცია 2020 წლიდან აქტიურად დაიწყო მუშაობა ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფისათვის, რაც გამოიხატა ისეთი ჯგუფების ფორმირებაში როგორიცაა **პროექტების წერის ჯგუფი.** საპროექტო გუნდმა 40-მდე საპროექტო განაცხადი დაწერა.

ფინანსური მდგრადობის თვალსაზრისით ორგანიზაციამ 2021 წლის განმავლობაში განახორციელა 15 პროგრამა/პროექტი.
2022 წელს წლის მანძილზე ორგანიზაციამ განახორციელა 21 პროგრამა/ პროექტი, რაც ფინანსების მოძიების სტრატეგიის სქემის მიხედვით პროგრესული ზრდის მიხედვით თუ ვიანგარიშებთ გადაჭარბებით შესრულდა.
ხოლო 2023 წელს ორგანიზაციამ განახორციელა 18 პროგრამა/პროექტი, რაც ფინანსების მოძიების სტრატეგიის სქემის მიხედვით პროგრესული ზრდის მიხედვით თუ ვიანგარიშებთ ასევე გადაჭარბებით შესრულდა.

აღსანიშნავია, რომ ორგანიზაცია მდგრადია - ფინანსური მდგრადობის თვალსაზრისით, რადგან იგი ანხორციელებს ხუთ წლიან პროგრამას, რომელიც დაფინანსებულია USAID-ის მიერ. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ორგანიზაციას შეუძლია დაფაროს საბაზისო საჭიროებები და უახლოესი 2026 წლის ბოლომდე მას საბაზისო საჭიროებების თვალსაზრისით არ ექნება გამოწვევები.

2020 – 2023 წელს ორგანიზაციამ შეძლოფინანსების მოძიების თვალსაზრისით აპრობირება მოეხდინა თანხების მოძიების რამდენიმე მიმართულების: საგრანტო, საწევრო, პროგრამული, პროექტებისა და ერთჯერადი ღონისძიებების განხორციელების მეშვეობით. ასევე ორგანიზაცია კვლავ სთავაზობს მომსახურების სერვისს, რომელიც ასევე განსაზღვრავს ფინანსების შემოდინებას ორგანიზაციაში.

დაწყებულია და აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს ორგანიზაციის სრული საბუღალტრო-სააღრიცხო სისტემების დანერგვა - გამართვა და აუდიტის ჩატარების ორგანიზებისთვის მომზადება. ორგანიზაციამ ინდივიდულარად წარმატებით გაიარა აუდიტის შემოწმება სხვადასხვა პროექტების ფარგლებში. რაც იმას ნიშნავს რომ ორგაზაციას შეუძლია ფინანსების მართვა გამართულად. აღსანიშნავია ისიც, რომ საპატიო გენერალური მდივანი - ეკატერინე მარუქაშვილი მუშაობს ფინანების მიმართულებით, მან 2021 წელს გაიარა გადამზადება საბუღალტრო სისტემების აღრიცხვასთან დაკავშირებით, რაც იმას ნიშნავს რომ ორგანიზაციას ჰყავს მომზადეული კადრი რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციაში ფინანსების კანონის შესაბამისობაში ხარჯვას. პროგრამის ფარგლებში კი ორგანიზაციას ჰყავს აყვანილი ბუღალტერი.

2020-2023 წლის სტრატეგიული გეგმის ამოცანა ამ მიმართულებით 90% შესრულებულია.

ორგანიზაციის პროგრამული განვითარება

პროგრამა - პროექტები:

2020 – 2023 წლის განმავლობაში ორგანიზაციამ საერთო ჯამში განახორციელა 54 მცირე, საშუალო და დიდი პროგრამა/ პროექტი:

ორანიზაციის პროგრამებს წარმოადგენდა: NLP პროგრამა, მოხალისეთა კლუბი, პროექტების წერის ჯგუფი, საქველმოქმედო ღონისძიება „ის მაინც არსებობს“, პროგრამა „ღია თვითმმართველობა“, ART is FUN, პროექტების წერის ჯგუფი, FUTURE Focus with RICDOG – RICDOG წევრების მიერ შექმნილი 18+ პროგრამა, TrainQuest – ონლაინ წევრების მიერ შემქნილი პროგრამა.

პროგრამული თვალსაზრისით ორგანიზაციამ გააგრძელა ტრადიციული პროგრამების განხორციელება და ასევე ჩაუყარა საფუძველი ახალი პროგრამების შექმნას ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პერიოდში პირველად ონლაინ წევრების ჩართულობით მოხდა ონლაინ პროგრამის განხორციელება რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ორგანიზაციას შეუძლია მოახდინოს ონლაინ წევრების სრულყოფლი ინტეგრირება მის ყოველდღიურ საქმიანობაში. ბოლო 3 წლის მანძილზე 60% გაზრდილია ორგანიზაციულ პროგრამებში ახალგაზრდების მომართვიანობა, რაც გვაძლებს იმის თქმის შესაძლებლობას, რომ ორგანიზაცია მუშაობს სტრატეგიულ დოკუმენტების გათვალისწინებით და იცავს PR სტრატეგიით გათვალისწინებულ ამოცანებს.

პროექტული თვალსაზრისით ორგანიზაციამ 2020-2023 წლებში განახორციელა შემდეგი პროექტები:
1.მოხალისეობის იდეის პოპულარიზების პროგრამა - ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია (2020 წელი);
2.3 Keys of Police Exploring - PH International (2021);
3.„მეღვინეობის პოპულარიზების პროგრამა“ - პროფესიული სასწავლებელი „კოლეჯი იბერია“ თანამშრომლობით - UNDP მიერ დაფინანსებული პროგრაა (2021);
4.„მერების შეთანხმების დოკუმენტის მონიტორინგი და ადვოკატირება“ - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრები (2021);
5.„ქუთაისის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო - ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია (2022);
6.Meet up – რომელიც დაფინანსებულია EVZ foundations მიერ, განხორციელდა სხვადასხვა დონორების მიერ 2-ჯერ (2021-2022 წლები);
7.Provision for Sewer Ceaner Vacuum Truck for Kutaisi City and Neighbor 3 Cities - იაპონიის საელჩო;
8.Game ზონა - ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიასთან თანამშრომლობით - ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ დაფინანსებული (2020-2023);

9.“შექმენი მომავალი” – პროფესიული სასწავლებელი „კონსტრუქტორ 2“ თანამშრომლობით - უნარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული (2022);
10.Erasmus+ გაცვლითი პროგრამები რომელსაც მასპინძლობდა RICDOG 5 სხვადასხვა ქვეყანას (TC “V.D.O Makers (ესპანეთი 2021) , “Inclusive Youth Work” (ესტონეთი 2021) "Partnership for Innovative Entrepreneurial Education" (სომხეთი 2021), მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებისათვის“ გერმანული ორგანიზაციის “BIWI”-სთან თანამშრომლობით გერმანიის ფედერაციის საერთაშორისო ურთიერთობების სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი (გერმანია 2022), ვიშეგრადის პროექტი „YOUng Power” (სკოვაკეთი 2022);
11.„გარემოზე ზემოქმედების გეგმის წერის სწავლება“ - Resource and Analysis Center “Society and Environment” - უკრაინა (2021-2022);
12.ინგლისური ენის შესწავლის სასტიპენდიო პროგრამა (ACCESS) – PH International (2020-2023)
13.“YOUTH for YOUTH“ - კავკასიური სახლისა და International Alert-ის პროექტის "ახალგაზრდული დიალოგი სამოქალაქო აქტივიზმისთვის" ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია USAID-ის მიერ (2022-2023);
14.“ძლიერი თვითმმართველობა _ აქტიური ახალგაზრდებისთვის” – „კოლეჯ იბერიასთან თანამშრომლობით“ - უნარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული (2022-2023);
15.„STEP TOGETHER” ქალაქ ქუთაისის უცხოელთა ინტეგრაციის სტრატეგიის და პლატფორმის შემქნა - მიგრაციის ცენტრთან თანამშრომლობით (2023)
16."იმერეთის რეგიონში სოციალური მეწარმეობის პოპულარიზების პროგრამა" -საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) (2023)
17.„სკოლის მოსწავლეებში მოქალაქეობის კომპეტენციის განვითარებისა და ცოდნის პრაქტიკული გამოყენების ხელშეწყობის პროგრამა“ - ევროპის საბჭო (2023)
18.USAID სამოქალაქო განათლების პროგრამა -PH International – USAID (2022-2026)

ორგანიზაციას 2020-2023 წლებში ჰქონდა 22 გაცვლითი პროგრამა რომელშიც მონაწილეობა მიიღო 48 ადამიანმა (იტალია, სომხეთი, უნგრეთი 7-ჯერ, საქართველო, სლოვაკეთი, პორტუგალია, პოლონეთი, ლატვია და სომხეთი).

რომ შევაჯამოთ აღნიშნული პროექტების ბენეფიციარები გახლდნენ 14-29 წლამდე ახალგაზრდები, სოციალურად დაუცველი ოჯახები, მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, პედაგოგები, youth work-ერები, სამართალდამცავები, ადგილობრივი არასამთავრობო სექტორი.**ჯამში აღნიშნული პროგრამებისა და პროექტების მეშვეობით 3 წლის განმავლობაში ორგანიზაციის მუშაობაში მონაწილეობა 10 000-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო.**

აღნიშნული წლები გამოირჩეოდა ახალი პარტნიორებისა და დონორების მხარდაჭერით, როგორიცაა უნარების სააგენტო, იაპონიის საელჩო, კავკასიური სახლი, ევროპის საბჭო, GSRDG, USAID რამაც ორგანიზაციას ახალი შესაძლებლობები და პერსპექტივები გაუჩინა. მდგრადობისა და თვითმყოფადობის შესაძლებლობა მისცა, იმერეთის რეგიონში კი ძლიერ, დასაყრდენ, ანგარიშგასაწევ და საიმედო ორგანიზაციად ფორმირდა.

უნდა აღინიშნოს ისიც რომ ორგანზიაცია უკანასკნელი 3 წლის მანძილზე აქტიურად მუშაობს სხვადასხვვა სტრატეგიულ დოკუმენტებსა და კვლევებზე, კერძოდ :

- ორგანიზაციამ ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტთან პარტნიორობით შეიმუშავა ქუთაისის მუნიციპალიტიტის ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი.
- ორგანიზაციამ ქ. ბაღდათის მუნიციპალიტეტთან პარტიორობით შეიმუშავა ბაღდათის მუნიციპალიტიტის ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი.
- ანალიზის დოკუმენტი - ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობების გავლენის ანალიზი, მერების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან მიმართებით.
- ორგანიზაცია ჩართული იყო საქართველოს ახალგაზრდობის განვითარების ქალაქის სტრატეგიის (2023 – 2026 წლების) შემუშავების სამუშაო ჯგუფებში.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული გენდერული საბჭოს სტრატეგიის შემუშაევების სამუშაო ჯგუფში.

- აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ორგანიზაციის თანადამფუძნებელი და თავმჯდომარე ნუგზარ კოხრეიძემ წარადგინა თავისი კანდიდატურა სახალხო დამცველობაზე, რომელსაც მხარი დაუჭირა 53-მა რეგიონში მომუშავე ორგანიზაციამ. აღნიშნული ფაქტი მნიშნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია ორგანიზაციის იმიჯისა და ცნობადობის გაზრდის თვალსაზრისით.

მათ შორის, ორგანიზაცია 3 წლის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა სხვადასხვა პლატფორმებში და სამუშაო ჯგუფში, რომლის წევრიც იგი გახდა 2014-2017 წლებში:

1. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა: 2022 წლიდან ორგანიზაციის თავმჯდომარე ნუგზარ კოხრეიძე არჩეული იყო საბჭოს წევრად, გახლავთ მესამე სამუშაო ჯგუფის თანაკოორდინატორი (გარემოს დაცვა, კლიმატის ცვლილებები, ენერგოუსაფრთხოება) და თავმჯდომარის მოადგილე;

2. აღმოსავლეთ ევროპის ცენტრალური აზიის და კავკასიის კლიმატის მოქმედებათა ქსელის საბჭოს თავმდომარედ აირჩიეს ორგანიზაიის თამჯდომარე ნუგზარ კოხრეიძე 2023 წელს;
3. 2023 წლიდან სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი “თაობათა დიალოგი” წარმოდგენილია ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოში - ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილის - ირაკლი თევზაძის სახით;
საბჭოში წარმომადგენლობა შესაძლებლობას აძლევს ორგანიზაციას ჩართული იყოს ქალაქში ახალგაზრდული მიმართულებით მიმდინარე საკითხების გადაწყვეტის პროცესში. ახორციელებდეს დემოკრატიული ღირებულებების უფრო ფართო საშუალებით დამკვიდრებას და მაგალითს იძლევა აქტიური მოქალაქეობის თვალსაზრისით.
4. 2022 წლიდან სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი “თაობათა დიალოგი” წარმოდგენილია ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის გენდერული თანასწორობის საბჭოში. აღნიშნული საბჭოს წევრია ორგანიზაციის გენერალური მდივანი - ლანა თოთაძე. საბჭოში შესვლის დღიდან იგი იყო ჩართული გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის გაწერაში, საბჭოში ქვე ჯგუფების ჩამოყალიბებაში.
5. ქ. ქუთაისი გახდა “ღია მმართველობის პარტნიორობის“ ლოკალური პროგრამის წევრი, RICDOG გახლავთ ამ სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთი აქტიური წევრი. პროგრამის მიზანია გაუმჯობესდეს ადგილობრივი თვითმართველობის მუშაობა და გახდეს განჭირვალე და ანგარიშვალდებული მოსახლეობის წინაშე.
6. RICDOG პარტნიორია ქუთაისის მუნიციპალიტეტის პროექტში „ქუთაისის დაბალემისიიანი განვითარება ურბანული დაგეგმარების გზით“, რომლის მიზანია ქ. ქუთაისის მდგრადი ურბანული განვითარებისთვის ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნა, ინვესტიციების მოზიდვა დაბალემისიანი ტრანსპორტისა და მიწის მდგრადი მართვის საუკეთესო პრაქტიკის სადემონსტრაციოდ. პროექტის ფარგლებში RICDOG გახლავათ სამუშაო ჯგუფის წევრი.

2020-2023 წლებში ორგანიზაციამ იმუშავა სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამებში აკრედიტაციის მოსაპოვებლად, კერძოდ:

1.გაეროს კლიმატის ჩარჩო ხელშეკრულლების კონვენციია - აკრედიტაცია მხარეთა კონფერენციისთვის რომელიც წელიწადში ერთხელ ტარდება
2.RICDOG ევროპის სოლიდარობის კორპუსის (European Solidarity Corps) აკრედიტაცია მიიღო, 2027 წლამდე RICDOG-ს შესაძლებლობა ექნება მიიღოს ერთდროულად 4 გრძელვადიანი და 4 მოკლევადიანი მოხალისე. ასევე უფლება მიიღო ბაღდათის ახალგაზრდული ცენტრისთვის "Game Zone" (რომლის პროგრამულ უზუნველყოფასაც ორგანიზაცია ახორციელებს) მიიღოს 2 გრძელვადიანი და 2 მოკლევადიანი მოხალისე. გარდა ამისა, მიიღოს ერთდროულად 12 მოხალისისგან შემდგარი ჯგუფი.

3.ორგანიზაციამ იმუშავა მშვიდობის კორპუსის მიერ გამოცხადებულ ინდიიდუალურ და ორგანიზაციული განვითარების სააპლიკაციო ფორმაზე, რომლის შედეგებიც ცნობილი იქნება 2024 წლის პირველ ნახევარში. დადებითი პასუხის შემთხვევაში ორგანიზაციას ეყოლება ამერიკელი მოხალისე 2024-2026 წლების მანძილზე.
4.ორგანიზაციამ წელს პირველად მიიღო მონაწილეობა სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ სატენდერო წინადადებაში, რომლის შედეგადაც მოახდინა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული საზაფხულო ბანაკისთვის ტრენერთა მომსახურეობა. აღნიშნული გამოცდილება დაეხმარება ორგანიზაციას სხვადასხვა სატენდერო წინადადებებში მიიღოს მონაწილეობა.
5.საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (NALAG) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მიერ გამოცხადებულ კონკურსში “Game Zone” გახდა საუკეთესო პრაქტიკის ნიმუში - ახალგაზრდების გააქტიურების, მობილიზაციის და ჩართულობის ხელშეწყობის მიმართულებით

სტრატეგიული დოკუმენტის მიხედვით აღნიშნული ამოცანა 3 წლის განმავლობაში სრულად შესრულებულია.

ორგანიზაცია და მედია

RICDOG 2020-2023 წლების განმავლობაში მიჰყვებოდა ორგანიზაციის პიარ სტრატეგიის დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც საზოგადოებისათვის განსაზღვრა მკაფიო იმიჯი.
დღეის მონაცემებით ორგანიზაცია თანამშრომლობს 2 ადგილობრივ ტელევიზიასთან, 2 რადიოსთან და 3 სააგენტოსთან. ასევე, აქტიურად თანამშრომლობს ცენტრალურ მედია საშუალებებთან. ორგანიზაციის პროგრამები, აქტივობები, ღონისიძიებები, პროექტები, ინტენსიურად შუქდება ადგილობრივ მედიაში. ორგანიზაციამ დაიკავა ექსპერტული შეფასებების ნიშა და ადგილობრივი მედია საშუალებები, RICDOG-ს ხშირად უთმობს საეთერო დროს სხვადასხვა თემების შესაფასებლად.
გარდა ამისა, 3 წლის განმავლობაში ორგანიზაციამ გადააწყოოფიციალური საიტი www.ricdog.org, რომელიც უფრო მოქნილია და სადაცგანთავსებულია ყველა სახისინფორმაცია, მათ შორისორგანიზაციის სტრატეგიული დოკუმენტები და ხედვები, ანგარიშები, ინფორმაციის ნაწილი მათ შორის ხელმისწავდომია ინგლისურ ენაზეც.

ასევე, RICDOG აქტიურად ამუშავებს ოფიციალურ ე.წ. Facebook “LIKE PAGE”, რომელიც დღეის მონაცემებით გამოწერილი აქვს 11 000 ადამიანს; ბოლო 3 წლის მანძილზე გამომწერთა რაოდენობა გაზრდილია 23%. მნიშვნელოვანია, რომ 2020-2023 წლების განმავლობაში, მხოლოდ სოციალური ქსელის „FACEBOOK“-ის სტატისტიკაზე დაყრნობით - ორგანიზაციის ოფიციალურ გვერდზე ადამიანთა ჩართულობა - პოსტების ნახვის, მოწონებების, გაზიარების და ყურადობის მაჩვენებლები 35%-ით გაზრდილია. აგრეთვე, მართავს 2 FACEBOOK ჯგუფს: „Be ActiveAlways and Everywhere”, რომლის წევრი არის6,200 მეტი ადამიანი და “ქუთაისის მოხალისეთა კლუბი”, რომლისწევრია 1100 ადამიანი.
მნიშვნელოვანია - ინსტაგრამისა და ტიკ-ტოკის სოციალური ქსელების პლატფორმების აქტიური გამოყენება ბოლო პერიოდში ორგანიზაციის მიერ.

ორგანიზაცია ასევე აქტიურად მუშაობს ბლოგზე www.dialogueofgenerations.wordpress.com და ყველა პროგრამა–პროექტის მონაწილეები განათავსებენ პოსტებს აღნიშნულ გვერდზე. ორგანიზაციას ასევე გააჩნიასხვა სათემო ჯგუფებიც: ტვიტერში, google-ში, კონტაქტებში, youtube channel-ი.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს გამგეობის წევრებისა და ორგანიზაციის წარმომადგენლობის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებსა და აქტივობებში, სადაც დადებით კონტექსტში ხდება ორგანიზაციის წარმოჩენა და საზოგადოების ფართო ჯგუფებისათვის წარდგენა. მათ შორის ხშირად სხვადასხვა ფესტივალზე და ფორუმებზე ორგანიზაცია ხშირ შემთხვევაში მიწვეულია როგორც სპიკერი და ფასილიტატორი. საანგარიშო პერიოდში ორგანიზციამ მონაწილობა მიიღო ასეთი ტიპის:
·30 ზე მეტ სხვადასხვა ფორუმში / საჯარო შეხვედრაში;
·40-ზე მეტ ტრენინგ-სემინარში;

ბოლო 3 წლის განმავლობაში ორგანიზაციამ საგრძნობლად გაზარდა ცნობადობა როგორც საქართველოს ისე მსოფლიო მასშტაბით. აღნიშნული პუნქტი სრულად შესრულებულია.

ბოლოსიტყვაობა:

გასული 3 წელი ორგანიზაციის მდგრადობის თვალსაზრისით იყო უდიდესი წინ გადადგუმილი ნაბიჯი. ორგანიზიაციის გამართულად მუშაობის, მისი იმიჯის გაზრდისა და ცნობადობის თვალსაზრისით, გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები.
კერძოდ, ორგანიზაცია ახალგარდობისა და გეიმიფიკაციის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნიშა დაიკავა რეგიონში. ორგანიზაცია ჩამოყალიბდა მნიშვნელოვან, ანგარიშგასაწევ ორგანიზაციად როგორც ადგილობრივ ისე ეროვნულ დონეზე. 2020-2023 წლების განმავლობაში ორგანიზაცია მიჰყვებოდა ყველა მის სტრატეგიულ დოკუმენტს, სადაც აქცენტები გაწერილი წლის პრიორიტეტების შესრულების თვალსაზრისით კეთდებოდა. ორგანიზაციამ სრულად დაიცვა 3 წლის მანძილზე განსაზღვრული პრიორიტეტები და მათგან გამომდინარე ახორციელებდა შესაბამის პროგრამებსა და პროექტებს.

ჩემთვის გასული 3 წელი იყო დატვირთული, გამოწვევებით სავსე, მნიშვნელოვანი სიახლეების მიმართ გახსნილი, ამავდროულად ნაყოფიერი და შედეგებზე ორიენტირებული. ვამაყობ იმ მიღწევებით, რომელიც ორგანიზაცია სრულიად ახალ სიმაღლეზე დააყენა, რომელიც დაუღალავი და უდიდესი შრომის შედეგია. ვფიქრობ, დაუღალავი შრომით რომელიც 3 წლის მანძილზე ჩემ გუნდთან ერთად მივაღწიე ორგანიზაციას ხელს შეუწყობს მომდევნო წლებში კიდევ უფრო განვითარებასა და ახალი მწვერვალების დაპყრობას. ახალი მიზნების დასახვას და მათ შესრულებას.

დარწმუნებული ვარ, რომ RICDOG მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს მუშაობას იმ გზებითა და მიმართულებებით, რომელიც განსაზღვრულია ორგანიზაციის სტრატეგიული დოკუმენტებით და იგი განაგრძობს იყოს გამორჩეული, კრეატიული, საჭიროებებზე და მოთხოვნებზე მორგებული, ყველა თაობის საყვარელი ორგანიზაცია, სადაც ყველას უხარია მოსვლა, სადაც ადამიანები თავს გრძნობენ ოჯახში, სადაც ადამიანები იზრდებიან პიროვნულად და არასოდეს წყვეტენ განვითარებას!

ლანა თოთაძე
გენერალური მდივანი
სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
18 ნოემბერი 2023 წ.